საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/116 " 18 " ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

თ. ოქროპირიძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 4 ივნისის №1/44 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 37 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 33 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 3 მოსამართლის, მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამარ ოქროპირიძის განაცხადი. აღნიშნული 3 კანდიდატიდან პროცესში მონაწილეობაზე უარი თქვა და განცხადება გაიხმო ორმა კანდიდატმა, შესაბამისად ვაკანსიაზე განხილულ იქნა მხოლოდ თამარ ოქროპირიძის კანდიდატურა.

თამარ ოქროპირიძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 6-წლიანი გამოცდილება. იგი უფლებამოსილებას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ახორციელებდა. აღნიშნულ კოლეგიაში წარმატებული მუშაობის გათვალისწინებით თ. ოქროპირიძეს შესწევს უნარი გააგრძელოს მუშაობა ნებისმიერი სირთულისა და დატვირთვის პირობებში, შესაბამისად იგი შეძლებს წარმატებით განახორციელოს უფლებამოსილება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოშიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, თამარ ოქროპირიძე გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2021 წლის 1 ივლისიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი